30

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

N11

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პიონერი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და
საქართველოს განსახკომის
ერთთვიური ჟურნალი

№ 11
ნოემბერი—1936
წელიწადი მე-11

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტი“
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-64

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	მელიას მოთქმა, — ლექსი ი. **გრიშაშვილისა**	1
2.	შეუდრეკელი მებრძოლი, ე. **აგლაძისა**	2
3.	ნიბლია, — ლექსი **გ. კალანდაძისა**	4
4.	ფარაონის საუნჯე და ხუროთმოძღვრის საიდუმლოება, — მოთხრობა **შ. მარიანაშვილისა**	5
5.	ხელოხლება, — ხალხური ხლაპარი	9
6.	სოფლის შარა, — ლექსი **გ. კაკაბაძისა**	12
7.	დათუნას მოგზაურობა, — პიესა **თ. ბელიაშვილისა**	13
8.	მზე, — **შ. თაბუკაშვილისა**	15
9.	ამოცანა, შედგენილი **ივ. მაჭავარიანის** მიერ — გარეკ. — მე-3-ე	გვ.
10.	გასართობი	გარეკ. 4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხ. ი. ქოქიაშვილის მიერ.

პ/მგ. **რედაქტორი. მ. თოდუაძე** პ/მგ. **მდივანი: ელ. აგლაძე**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გამ-ბა, ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68.
მთავ. № 10373 შეკვ. № 3458 ტირაჟი 19000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელიას მოთქმა

იოსებ გრიშაშვილი

დამეფუკა ღაბაბი,
დამეკარგა იერი,
ქათმებს ველარ ვიპარავ,
დავრჩი ასე მშიერი!
მთელი სოფლის გლეხობა
შეყრილა ერთ პირადა,
კოლექტივი შემდგარა,
ხალხო, ჩემდა ჭირადა.
ველარ დავიარები
ჩემს სურვილს და ნებაზე,
სუყველაფერს მართავენ
ახალ გემოვნებაზე.
მე რა ვქნა, რომ ოდიდან
ქურდობას ვარ ჩვეული,
თითით საჩვენებელი,
კენტად გამორჩეული!
განა მე კი მაწყენდა
სახელი და ნამუსი?
ან როდემდის გამყვება
ნადავლი და ნამუსრი?
შემიბრალეთ! მასწავლეთ,
მეგობრებო, სწორებო:
ნუთუ არ შეიძლება
ჩემი გამოსწორება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდრეკელი მებრძოლი

ელ. აგლაძე

ბევრს თქვენთაგანს, ალბათ, უნახავს მდინარის პირად გაშენებული მწვანედ აქოჩრილი ლამაზი ხარაგოული. ეს საყვარელი სერგო ორჯონიკიძის სამშობლოა. ხარაგოულის მახლობლად მდებარე სოფელ ღორეშაში დაიწყო მისი პირველი სუნთქვა. ეს იყო 1886 წლის 28 (15) ოქტომბერი. ამხ. სერგოს არ ჰქონდა ბედნიერი ბავშვობა. მას არ ახსოვს დედის ტკბილი ალერსი, მას არ უგრძვნია მშობლიური მზრუნველობა. ის მხოლოდ თვენახევრისა იყო, როდესაც დედამ ობლად დატოვა.

ახლა, როდესაც მას 50 წელი შეუსრულდა, როდესაც ის უკვე ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის საყვარელი ბელადთაგანია, ალბათ, იგონებს ბავშვობის უსიხარულო დღეებს. და იქნებ სწორედ ეს მოგონებები აღვივებს მის გულში ბავშვებისადმი თბილ გრძნობებს. ამხ. სერგო ბავშვების წრეში ისეთი მხიარული და ხალისიანია, რომ ბავშვებს მასთან ყოფნა არასოდეს მობეზრდებათ. მას ათი წლის გოგონა ჰყავს, სახელად ეთერი; ამხ. სერგო იშვიათი ყურადღებიანი და მოსიყვარულე მამაა. ის მუდამ დაინტერესებულია ეთერის საქმიანობით. მან ისიც კი მშვენივრად იცის, თუ რა კეთდება იმ პიონერრაზმში, რომელშიაც ეთერია. ის ხშირად მხიარულად ატარებს დროს თავის პატარა გოგონასთან. თითქოს მას მხრებზე არ აწევს მუდამ მძიმე შრომებში გატარებული ორმოცდაათი წელი. მისი მხიარული გამომეტყველებისათვის დაღი ვერ დაუსვამს 3 წელს ბორკილებით კატორღაში ყოფნას, ვერც ხშირ გადასახლებას, ვერც სამოქალაქო ომებში თავგანწირულ ბრძოლებს...

მთელი 33 წელი, რომელიც ამხ. სერგომ კომუნისტური პარტიის საქმეს შესწირა, სავსეა გმირული ეპიზოდებით.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა სერგოს უდიდესი ნდობა ჰქონდა დამსახურებული კომუნისტური პარტიის ბელადებთან — ლენინთან და სტალინთან.

26 წლის ახალგაზრდას ლენინმა მიანდო ისეთი სერიოზული და მძიმე საქმე, როგორიც იყო პრაგის კონფერენციისათვის არჩევნების ჩატარება — მოსკოვსა, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში. ამხ. სერგომ, მიუხედავად იმისა, რომ მას იმ დროს პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა, შეძლო ლენინის დავალების ბრწყინვალედ შესრულება, და 1912 წლის იანვარში პრაგაში შედგა ისტორიული მნიშვნელობის კონფერენცია. აქ გადაწყდა საბოლოო — ფორმალურადაც გათიშვა მენშევიკებთან. ამხ. სერგო ამ კონფერენციაზე ყოველი საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეა. კონფერენცია ახალგაზრდა სერგოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად ირჩევს. ამხ. სერგო გაჰყავთ აგრეთვე რუსეთში მუშაობის ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილ ბიუროს წევრად. ეს ბიურო მხოლოდ სამი წევრისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ ამხანაგები: სტალინი, ორჯონიკიძე და სპანდარიანი.

აი ასეთი ნდობით სარგებლობდა პარტიის წინაშე ჯერ კიდევ 26 წლის სერგო. ეს ნდობა მან დაიმსახურა თავისი თავგანწირული და დაუღალავი მუშაობით.

მისი გმირული თავგადასავლიდან მხოლოდ რამდენიმე მომენტის მოყვანაც საკმარისია იმის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტკიცებლად, თუ როგორი მტკიცე, შეუდრეკელი, მედგარი და უშიშარი მებრძოლია ის.

აი მაგალითი:

სამოქალაქო ომის პერიოდია.

ჩრდილო კავკასიის არმიებს სოროკინი მეთაურობდა. ბოლო ხანებში მან უღალატა ჩვენებს და დენიკინელების მხარეს გადავიდა. და აი სერგოს ეშელონები უკან იხევენ, სოროკინი კი, რომელიც ჯერ კიდევ წითელ მეთაურად ითვლებოდა, არ უშვებდა ამ ეშელონებს, არ აძლევდა მათ მატარებლებს.

მაშინ სერგო საშინლად აღელვებული, ანთებული თვალებით შევიდა სოროკინთან ვაგონში და მიმართა მას:

— დაუყოვნებლივ გაუშვით ეშელონები!

სოროკინი ჯერ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ სერგოს დაჟინებითმა მოთხოვნამ აიძულა დაეთმო მისთვის. ბოლოს ის შერიგებასაც კი შეეცადა სერგოსთან და მწვადსა და ღვინოზე მიიპატიჟა.

მაგრამ სერგომ, — როგორც კი გააცემინა მას ბრძანება ეშელონების გაშვების შესახებ, — ცივად უპასუხა:

— შენისთანა არამზადასთან არა თუ მწვადის ჭამა არ მინდა, იმ ჰაერითაც კი არ მინდა ვისუნთქო, რომლითაც შენ სუნთქავო, — თქვა და გავიდა ვაგონიდან.

ჩრდილო კავკასიაში მეთერთმეტე წითელ არმიას, რომელსაც ამხ. ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა, ორი მტერი დაერია: ტიფი და დენიკინელების უზარმაზარი არმია, ფრანგებისა და ინგლისელების იარაღით მომარაგებული. წითელ არმიას ვერ გატეხდა დენიკინელების ჯარი, რომ ტიფს არ გაენადგურებია ის. წითელარმიელები უკან იხევდნენ. ამხ. სერგო გადადიოდა სოფლიდან სოფელში, აგროვებდა გლეხებს და მიმართავდა მათ:

— თეთრები მოდიან, მაგრამ ცოტახნით. სულით არ დაეცეთ. არ მისცეთ მათ ხალხი არმიისათვის, წითლები ისევ მალე იქნებიან აქ!

დენიკინელები ანადგურებდნენ სოფლებს და მოითხოვდნენ მათგან გაეცათ ბოლშევიკები. ბევრი წამება აიტანეს მთიელებმა, საყვარელი სერგო კი არ გასცეს. აუცილებელი გახდა ამხ. სერგოს მთიდან წამოსვლა. ის მენშევიკური ტფილისის გავლით არალეგალურად ბაქოში გაემგზავრა. ბაქოდან კი მას სურდა წასულიყო წითელ ასტრახანში, იქიდან კი მოსკოვში, რომ ხელმეორედ გადავარდნილიყო ბრძოლის ცეცხლში. მაგრამ როგორ? გზაზე დენიკინელების ფრონტია. ერთადერთი გზაა დარჩენილი: კასპიის ზღვით ასტრახანამდის, ასტრახანიდან კი ვოლგით.

და აი 1919 წლის შუა ზაფხულია, სულშემხუთველი სიცხე... ამხ. სერგო, თავისი მეუღლით, ალიოშა ჯაფარიძის მეუღლე და ცნობილი თავგანწირული რევოლუციონერი კამო მიცურავენ კასპიის



ამხ. სერგო ორჯონიკიძე მოწაფეობის დროს.

ზღვაზე სათევზაო იალქნიანი ნავით. ნავს ხშირად აჩერებენ დენიკინელების საგუშაგო გემები და ეკითხებიან: „ვინ ხართ?“

კამო მათ მოკლედ პასუხობს:

— მეთევზეები. თევზებს ვიჭერთ.

ზღვაზე აუტანელი ცხელი დღეები დადგა. თურქესტანის უდაბნოდან ცხელი ქარი ქროდა. არ იყო დასალევი წყალი... მგზავრები იტანჯებოდნენ. მთელი მგზავრობის დროს ამხ. სერგო ჩამალული იყო და იტანდა გაორკეცებულ, დახშულ სიცხეს. 13 დღის საშინელი მგზავრობის შემდეგ სათევზაო ნავმა ასტრახანს მიაღწია. ასტრახანიდან ამხ. სერგო მოსკოვისაკენ გაემართა, სადაც ის ხელმეორედ ჩაება სამოქალაქო ომების ქარცეცხლში...

დღეს ამხ. სერგო დიადი საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის კომისარია, ისეთივე მგზნებარე რევოლუციონერი, ისეთივე დაუშრეტელი ენერგიის მქონე, საქმისათვის თავდადებული.

25 წლის ახალგაზრდა ინჟინერი, სახელად მერაბი, მივლინებიდან დაბრუნდა. ის ამერიკაში იყო. მერაბი ამხ. სერგოს ესტუმრა.

სხდომიდან ახლადდაბრუნებული, მეტად დაქანცული ამხ. სერგო მიმართავს მერაბს:

— აბა, მიამბე, მხოლოდ მოკლედ, რა ნახე და რას უფრო მეტი ყურადღება მიაქციე ამერიკაში.

მერაბმა ორიოდე სიტყვით უპასუხა:

— მე იმ ქარხანაში ვმუშაობ, რომელიც აქ ცუდ ქარხანად ითვლება. თუმცა გამოირკვა, რომ ის ამერიკის ქარხნებს არ ჩამოუვარდება. მხოლოდ ამერიკაში ასეთსავე ქარხანაში სამჯერ ნაკლები მუშები მუშაობენ. მაგრამ ისინი სამჯერ მეტის გამომუ-

შავებას ახერებენ და მათი ნამუშევრის ხარისხიც სამჯერ უკეთე სია.

რამდ[illegible] შემდეგ ამბანაგმა სერგომ მერაბი თავის აგარაკზე გამოიძახა და მთელი დღის განმავლობაში ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. საუბარში ვამოირკვა, რომ საქაჩავების წარმოების დარგში ამერიკულმა ტექნიკამ გერმანულს გაუსწრო. გერმანული ჩამორჩა. ჩვენი ინჟინრები კი გერმანული ტექნიკის მიხედვით სწავლობდნენ.

ამხ. სერგო ეკითხება ახალგაზრდა ინჟინერს:

— რამდენ ხანში შეიძლება ეს დარგი გადავიყვანოთ ამერიკულ ტექნიკაზე?

მერაბი პასუხობს:

— ჩემი გეგმით, ჩვენი ქარხნების გადაყვანა ამერიკულ ტექნიკაზე 3 წელიწადში მოხერხდება.

სერგო აინთო: რატომ სამ წელიწადში? თუ ამერიკული ტექნიკა ყველაზე მოწინავეა, რა უნდა დავინერგოთ ჩვენში, და არა 3 წლის შემდეგ, ორმეტ 6 თვის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეორე დღეს სახალხო კომისარიატი უკვ[illegible] დუღდა...

6 თვის განმავლობაში გერმანული ტექნიკიდან, რომლის მიხედვითაც ათეული წლების განმავლობაში სწავლობდნენ ჩვენი ინჟინრები, გადასვლა ახალ მოწინავე ტექნიკაზე,—აი უდიდესი რევოლუციონერობა...

ამგვარად იბრძოდა და იბრძვის ეს რკინისებური ადამიანი კომუნიზმის გამარჯვებისათვის კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ნიბლია

ბ. კალანდაძე

— ჩიტო, ჩიტო პაწაწინავ,[1])
მთელი დღე რომ გძინავს,
ეკალზე რამ დაგაძინა,
ვარდი გქონდა ბინად!!
შენ არ იყავ, მგალობელო,
რომ გვატკბობდი სტვენით,
შენ ხომ ჩვენი ბულბული ხარ,
მეგობარი ჩვენი?!
— მეგობარო, მართალი ხარ,
ვარდი მქონდა ბინად,
ვგალობდი და ხალხიც ბულბულს
მეძახოდა წინათ;
აღარ ვგალობ, და სახელიც
შემიცვალა ხალხმა,
მე ბულბული ვიყავ, მაგრამ
ნიბლია ვარ ახლა.

[1]) ამ ფრინველს „ბულბულზე“ გაზაფხულზე „ბულბულ“ ეწოდება, ივლისში ნიბლია და შეშოდგომაზე „ყარანა“. (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაონის საუნჯე და ხუროთმოძღვრის საიდუმლოება

შ. მარიანიშვილი

პირველი ნაბიჯი [1]

ფეთიხს მეტი გზა არ ჰქონდა, მამის დასაფლავებამდე უნდა მოეცადა და შემდეგ ეცადა ბედი მაგრამ უნდა მოეცადა არა რაღაც ორი-სამი დღე, როგორც, მაგალითად, ჩვენში ვიცით, არამედ სამოცდათორმეტი დღე. ო, ფეთიხისათვის ეს სამოცდათორმეტი წელი იყო. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მით კმაყოფილდებოდა, რომ ყოველდღიურად დადიოდა სასახლესთან და სანატრელ ქვას საათობით ხარბი თვალით შეჰყურებდა.

მთელი დღეები ფიქრით მოცული დაიარებოდა, სამუშაოზე გული აიყარა და თითქმის არაფერს აკეთებდა. ჰო, მართლა, დამავიწყდა მეთქვა: როგორც ფეთიხი, ისე ფთაგმაი მამის პროცესიას მისდევდნენ და ხუროთმოძღვრები იყვნენ. საერთოდ, ეგვიპტელებს ჩვეულებად ჰქონდათ შვილს მამის ხელობა შეესწავლა...

დედას და ძმას ეგონათ ფეთიხი მამის დაკარგვას დარდობსო და თანაგრძნობით ეკიდებოდნენ...

როგორც იქნა, ხუროთმოძღვრის დასაფლავების დღეც დადგა. იმ დღეს ყველაზე უფრო ფეთიხი მოძრაობდა: ხან აქ ეცემოდა საქმეს და ხან იქ. ძმას ხელიდან ართმევდა საქმეს და თვითონ აკეთებდა. მაგრამ ვაი იმ გაკეთებას. ერთ საქმეს დაიწყებდა, არ დაამთავრებდა და მეორეზე გადადიოდა. მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებდა, მაგრამ არსებითად არაფერს აკეთებდა და ფთაგმაის მხოლოდ ხელს უშლიდა. ან რა უნდა გაეკეთებია, როდესაც მისი გონება სხვაგან ქროდა...

ფთაგმაის მამისათვის ძვირფასი სარკოფაგი შეეკვეთა. სარკოფაგი შავი გრანიტისაგან იყო გამოკვეთილი და მისი ზედაპირი სარკესავით იყო გაკრიალებული. სახურავზე განსვენებულის პორტრეტი იყო ამოჭრილი და ძვირფასი ფერებით შეღებილი. სარკოფაგის კედლებს ამშვენებდა სხვადასხვა სურათი და იეროგლიფები. იეროგლიფები ოქროთი იყო მოვარაყებული.

ფარაონს უკანასკნელად, ერთხელ კიდევ გახსენებოდა თავისი ხუროთმოძღვარი და მისთვის უჩვეულო გულუხვობა გამოეჩინა: მუმიის მოსართავად ოქროს სამკაული გამოეგზავნა და თან ასი ოქროს ბეჭედი გამოეტანებინა. ოქროს სამკაულები, რასაკვირველია, როგორც წესი იყო, მუმიას სარკოფაგში თან ჩაატანეს, ბეჭდები კი სახარჯოდ დაიტოვეს.

როდესაც ყოველივე მზად იყო, ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით, ხუროთმოძღვრის მუმია დასავლეთით, ლივიის მთებისაკენ წაასვენეს.

ეგვიპტელთა სავანე—ლივიის მთები—„ცოცხალთა ქალაქიდან“ ექვსი კილომეტრით იყო დაშორებული, „მკვდართა ქალაქიდან“ კი ორი კილომეტრით. ამრიგად, პროცესია ხომალდით ჯერ მდინარე ნილოსზე უნდა გადასულიყო, შესულიყო „მკვდართა ქალაქში“, გაევლო ტაძრების რგოლი და ბოლოს მისულიყო დანიშნულ ადგილას.

მთელი ლივიის მთები დახრული იყო აკლდამებით, სასაფლაოებით. კლდეებში გამოჩეხილ ოთახებში ინახავდნენ განსვენებულთა მუმიებს.

ფთაგმაის მამისათვის კარგი აკლდამა დაემზადებინა და მისი ოთახები საოჯახო ნივთებით მოერთო. როდესაც ხუროთმოძღვარს ასაფლავებდნენ, ფეთიხმა მამის სასაფლაოს გვერდით ერთი უპატრონოდ მიტოვებული აკლდამა შეამჩნია, რომელსაც კარები ჩამოვარდნოდა და იქვე ეგდო. რატომღაც დაინტერესდა და შიგნით შევიდა. იატაკზე მაგიდის და გრძელი სკამების ნამტვრევები ეყარა. „ეს კარგია, გამომადგება“—გაიფიქრა და გარეთ გამოვიდა.

დასაფლავების ცერემონიის დამთავრების შემდეგ სასაფლაოს კარები მაგრად დაკეტეს, რომ ქურდები არ შეჭრილიყვნენ, და შინისაკენ წამოვიდნენ. გზაში ფეთიხმა რაღაც მოიმიზეზა და დედასა და ძმას დაშორდა, ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა და წეღან დათვალიერებულ აკლდამაში შევიდა, სკამებისა და მაგიდების ფიცრებისაგან სახელდახელოდ პატარა კიბე გააკეთა.

ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ დაღამებას უცდიდა, რომ განძთსაფარზე იერიში მიეტანა. მეტი მოთმენა აღარ შეეძლო, დღეს უნდა ეცადა თავისი ბედი...

შუაღამე იქნებოდა, როდესაც ფეთიხი კიბით და სანათურებით ხელში ლივიის მთებიდან ნელ-ნელა დაეშვა. სიფრთხილისათვის სანათური ჩამქრალი მოჰქონდა, რომ სასახლის მცველების ყურადღება არ მიეპყრო. ტაძრები ჩუმად გამოიარა და ფარაონის

[1]) დასაწყისი იხ. № 10

სასახლეს მიუახლოვდა. ჩრდილოეთის მხრივ ეუ-
მოუარა და ნაცნობი გრძელი შენობა დაინახა. მი-
წაზე წაწვა, ხოხვით კედელს მიუახლოვდა. წინას-
წარ დანიშნული ადგილი ადვილად მიაგნო, კიბე
კედელზე მიადგა, ცოტა ხანს შეჩერდა და ყური
დაუგდო. გარშემო სამარისებური სიჩუმე იყო გამე-
ფებული, არსაიდან ხმაური არ ისმოდა, გარდა სა-
კუთარი გულისა, მკერდში აჩქარებულად რომ ცემ-
და. კიბეზე ნელნელა ავიდა და შეჩერდა. მღელვა-
რება ვერ შეემაგრებინა. მთვარე დასავლეთით გა-
დახრილიყო და სიბნელეში არაფერი მოჩანდა. სა-
ჭირო იყო სანათურის ანთება, მაგრამ თითები არ
ემორჩილებოდა. სანათურის კარებიც ჯიუტობდა
და არ იღებოდა. როგორც იქნა, გააღო და აანთო.
კედელს მიანათა და ოზირისის მკაცრ გამომეტყვე-
ლებას წააწყდა, ვერ გაუძლო, თვალები ნებფიზე
გადაიტანა. აკანკალებული ხელით მის მარცხენა ფეხს
დააწვა, და უზარმაზარი ლოდი ადვილად და უხმოდ
შემოტრიალდა. გახარებულმა ფეთიზმა თავი შიგნით
შერგო, მაგრამ იქ გარდა წყვდიადისა არაფერი
მოჩანდა. ხვრელში შევიდა და კიბეც თან აიტა-
ნა, შიგნით ჩაუშვა და თვითონაც თან ჩაჰყვა. უზარ-
მაზარ დარბაზში მისი სანათური მკრთალად ანა-
თებდა, კარგად არაფერი მოჩანდა. სვეტებზე დიდი
სანათური შეამჩნია. აანთო. რას ხედავს მისი თვა-
ლები! ოცნებაა თუ სინამდვილე?! მთელი დარბაზი
სავსე იყო ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით,
მაგიდებზე უამრავი თვალმარგალიტი ელავა, კაკ-
ლის სისხო ბრილიანტები პატარა ვარსკვლავებივით
ბრწყინავდა. მრავალი მაგიდა მოფენილი იყო ოქ-
როს ნივთებით: ქამრები, საყელოები, სამაჯურები,
თავმოსართავები და სხვა მრავალი. ზოგიერთ მა-
გიდაზე ვერცხლის ვეება თასები იდგა ოქროს ბეჭ-
დებით ავსებული. კუთხეში ყვითელ მთასავით ეწყო
ოქროს ზოდები, მის გვერდით კი თეთრ მთასავით
ვერცხლის ზოდები. სინათლის შუქზე დარბაზი მრავალ-
ფრად ელვარებდა. ფეთიზს თავი სიზმარში ეგონა,

საუნჯეის შორის გაოცებული დაიარებოდა, ყოველ
ნივთს ხელში იღებდა, წონიდა, ასინჯავდა და
ისევ იმ ადგილას დებდა. ახლა სხვასთან მიდიოდა
და ასე აჩრდილივით დაძრწოდა მაგიდებს შორის.
ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა და მოაგონდა,
რომ წასვლის დრო იყო. გათენებამდის არემარეს
უნდა გასცლოდა. წამოსვლისას გაბედა რამდენიმე
მუჭა ოქროს ბეჭდები ჯიბეში ჩაეყარა და ხვრელში
სწრაფად აძვრა.

ამ დღიდან ფეთიზი ფარაონის საუნჯის ხშირი
სტუმარი იყო. ამ საქმეში თავისი უფროსი ძმა
ფთაგმაიც ჩაითრია და ორივემ ერთად დაიწყო
საუნჯის ძარცვა. გამოტანილი ნადავლით ღვინის
სმასა და ნადიმში ატარებდნენ დროს. ღვინომ ძმე-
ბი ფუქსავატურ ცხოვრებას შეაჩვია, ხვალინდელ
დღეზე ფიქრი გადაავიწყა და საეჭვო პირებს დაუ-
ახლოვა. რომ ფივში ეჭვი არ აეღოთ, ხშირად მემ-
ფისში მიემგზავრებოდნენ და იქ ატარებდნენ დროს.
მოგზაურობისათვის საკუთარი ხომალდიც შეიძინეს.

პირველ ხანებში ძმები მხოლოდ ოქროს ბეჭდე-
ბის გამოტანით კმაყოფილდებოდნენ, ხანდახან ოქ-
როს ზოდებსაც ესტუმრებოდნენ. ბეჭდები აურიც-
ხავი იყო, ზოდები კიდევ უამრავი. ამიტომ დანაკ-
ლისი შეუმჩნეველი იყო, მაგრამ როდესაც წათამამ-
დნენ და ძვირფასი ნივთების გატანა დაიწყეს და
თანაც კაკლის სისხო ბრილიანტებიც გააყოლეს, ეს
უკვე მეტისმეტი იყო და შეუმჩნევლად არ ჩაივ-
ლიდა.

ფარაონი საგონებელში ჩავარდა. ატყობდა, რომ
მის თავს კარგი ამბავი არ ხდებოდა და ძვირფასი
ნივთები თანდათან ქრებოდა.

— ამენგოთეპ! — მიმართა ფარაონმა თავის უფროს
ვეზირს, რომელიც მუდამ თან ახლდა. — მე ვამჩნევ,
რომ ჩემი ძვირფასი ნივთები თანდათან იკარგება,
მე მძარცვავენ...

— ო, დიდებულო მეფევ, — მიუგო გაკვირვებულმა
ვეზირმა, — შეუძლებელია აქედან რამეს დაკარგვა,
ალბათ სცდები, შეცდომა ხომ ყოველი ადამიანის
თვისებაა, შენც ხომ ადამიანი ხარ...

— ჩემი თვალები არ ცდება, მე არ ვიცი რო-
გორ მოხდა, მაგრამ ვიცი, რომ მოხდა!

აღელვებული ფარაონი ვერცხლის თასებს მიუახ-
ლოვდა და გაოცებული შედგა. ორი ვერცხლის
თასი ცარიელი დახვდა, ქურდს არც ერთი ბეჭედი
აღარ დაეტოვებია შიგ.

— ამენგოთეპ! ამაზე რაღას იტყვი? — გაჯავრე-
ბულმა ფარაონმა ცარიელ თასებზე მიუთითა, — ესეც
ხომ შეცდომა არ არის!

ამენგოთეპ შეწუხდა, მისთვისაც აშკარა გახდა,
რომ საუნჯე გაქურდული იყო. მაგრამ რა გზით,
როგორ მოახერხა ქურდმა აქ შემოსვლა? აი, რაზე
იტეხდნენ თავს ფარაონი და ამენგოთეპი. იმისა-
თვის, რომ ქურდი შიგნით შესულიყო, უნდა გამოს-
ხლტომოდა მცველებს და სასახლეში შემოსულიყო,
გამოევლო უთვალავი ოთახი, ფარაონის საწოლი

და ბოლოს განძთსაფარის კარებს მისდგომოდა. სხვადასხვა გასაღებით უნდა გაეღო კარები და ამ გზით დარბაზიდან საუნჯე გამოეტანა, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მაგრამ ქურდი კი შემოდიოდა, ეს ორივესთვის აშკარა იყო. მხოლოდ რა გზით, საიდან,—ეს მათთვის გაუგებარი იყო. ამეზგოთპის რჩევით ფარაონმა განძთსაფარის იატაკი ფხვნილის თხელი ფენით დააფარვინა, ერთხელ კიდევ შეავლო მაგიდებს თვალი და დარბაზიდან გავიდა. ყველა კარი დალუქა და სასახლის გარეთ გაძლიერებული რაზმი დააყენა.

მთელი ღამე მოუსვენრად გაატარა, რამდენჯერმე ამეზგოთპი გაგზავნა, რომ მცველები შეემოწმებინა ფრთხილად იყვნენ თუ არა...

მეორე დღეს ფარაონი განძთსაფარის კარებს მიადგა, ამეზგოთპიც თან ახლდა. ლუქი ხელუხლებელი იყო. კარი გააღო და შიგნით შევიდნენ. მა გიდებს რომ მიუახლოვდნენ, კიდევ ერთი ვერცხლის თასი დახვდათ ცარიელი. ძირს დაიხედეს და იატაკზე ფეხის ნაკვალევი შეამჩნიეს. ნაკვალევი სხვადასხვა ზომისა იყო. ეტყობოდა, რომ ქურდები ორი ან რამდენიმე იყვნენ. ქურდები კარებიდან არ იყვნენ შემოსული, რადგან კვალი მასთან ახლოსაც არ იყო გაკარებული. ეჭვს გარეშე იყო, რომ ქურდები ფარულ შემოსასვლელით სარგებლობდნენ. ეს ორივესათვის ნათელი იყო. მთელი კუთხეები შემოიარეს. კედლები დაათვალიერეს, ბოლოს სახურავზედაც ავიდნენ, მაგრამ ვერსად პატარა ხვრელიც კი ვერ იპოვეს. გაოცებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და უკვირდათ, თუ რა გზით ახერხებდნენ ქურდები შემოსვლას.

— მეფევ, რამდენიმე დღეში ქურდები ჩვენს ხელში იქნებიან...

— რა გზით, როგორ?

— აი, როგორ,—და ამეზგოთპმა მსახურთ რკინის მძიმე მახეები შემოატანინა, სწორედ ისეთები, გარეულ ნადირებს რომ იჭერენ. ყოველ მაგიდასთან იატაკი ამოაჭრევინა და შიგ მახე ჩაადგმევინა და ხრახნილებით დაამაგრებინა. რომ ქურეს არ შეემჩნია, ზევიდან თხელი ხალიჩები გადაადაფარეს.

— დიდებულია, ამეზგოთპ, დიდებული! ახლა კი ქურდები ჩვენს ხელში იქნებიან,—თქვა კმაყოფილმა ფარაონმა და განძთსაფარი დატოვა.

ფეთიზის თავზე ღრუბლები იკრიბებენ

მეორე დღეს ფარაონს იმედი არ გაუმართლდა: მახე ხელუხლებელი და ცარიელი დახვდა, ადამიანის კვალი არ მოჩანდა. როგორც ეტყობოდა, ამ ღამით ქურდებს განძთსფარში არ გაეელოთ. „დღეს გადამირჩენ, მაგრამ არაფერია, ხვალ ჩემს ხელში იქნებიან"—გაიფიქრა ფარაონმა და კარები გაიხურა.

ქურდები საუნჯეს არც მეორე დღეს ესტუმრენ. გადიოდა დღეები, მაგრამ ქურდები იგი [illegible] მოსვლას არ იჩქარობდენ. თითქოს ეგრ[illegible] ეს. [illegible] ეს. [illegible] ეს. [

სით, გამოსტაცე უკანასკნელი კოცნა, შეიძლება მე-ტი ველარ ნახო. ვინ იცის...

— აი, საყვარელი დედაც მოდის!—წამოიძახეს გახარებულმა ძმებმა და მისკენ გაექანენ.

მოხუც დედას შვილები შორიდან შეემჩნია და გახარებული მოიჩქაროდა მათკენ.

— შვილებო, ჩემო ძვირფასო შვილებო!—და აცრემლებულმა დედამ ვაჟები გულში ჩაიკრა.

უკანასკნელი გზა

შუაღამე იყო, როდესაც ძმები სახლიდან ფეხ-აკრეფით გამოვიდნენ და განძსაფრისკენ გაემართნენ. ფთაგმაის ყოველი შემთხვევისათვის მახვილი თან წამოეღო, ფეთიზს კი, საუნჯისათვის—ცელის დიდი პარკი. უკანასკნელად ჩვეულებრივზე მეტი განძის წამოღებას აპირებდნენ.

ძმები უხმოდ და ფრთხილად მიდიოდნენ, ეშინო-დათ, რომ ღამის მცველებს არ შეემჩნიათ. ხშირად ჩერდებოდნენ, სმენას იმახვილებდნენ და თავდაცვი-სათვის ემზადებოდნენ. როგორც იქნა, განძსაფარს მიუახლოვდნენ.

— ფთაგმაი,—უთხრა ჩუმი ხმით ფეთიზმა, რო-დესაც ისინი ოზირისის წინ კედელთან შეჩერდნენ,—სამი თასი ოქროს ბეჭდები წამოვიღოთ, ორი თასი კი ძვირფასი ქვები—ბრილიანტები და მარგალიტე-ბი. ეს იქნება აურიცხავი სიმდიდრე, რომელიც მთელ სიცოცხლეს განცხრომით გაგვატარებინებს...

უთხრა რა ფეთიზმა, პასუხს აღარ დაუცადა, კი-ბეზე ავიდა და შეჩვეულ ხვრელში მარდად გაძვრა. ფთაგმაიც ავიდა კიბეზე და ის იყო დააპირა ხვრელ-ში გაძრომა, რომ ქვევიდან შემოესმა გულშემზარავი ღრიალი:

— ვაიმე, ძმაო, მიშველე, დავიღუპე!

გულგახეთქილი ფთაგმაი სასწრაფოდ ჩახტა დარ-ბაზში და სანათურით ხელში მიიჭრა ძმასთან. მის წინ გადიშალა შემაძრწუნებელი სურათი: ფეთიზს ფე-ხი მუხლამდის ჩავარდნოდა მახეში, რკინის წვეტი-ანი კბილები ძვლამდის წასულიყო; პრილობებიდან სისხლი შადრევანივითა ცვმდა. ფთაგმაიმ მახვი-ლი გაიძრო, მუხლებ ე დაეცა და შეეცადა მახის გაღებას. ფეთიზი აღარ ღრიალებდა. პირქვე დამ-ხობილი, ის მხოლოდ ყრუდ გმინავდა, საშინელი ტკი-ვილებისაგან სახე დაღრეჯოდა და თვალებში სის-ხლი ჩაჰქცეოდა.



დიდხანს ეწვალებოდა მახეს ფთაგმაი, მთელ ძალ-ღონეს ხმარობდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ ყო-ველი ცდა ამაო იყო, წყეული მახე არ ნებდებოდა. წვალების დროს მახვილი შუაზე გადუტყდა.

— ვაი, დალუპულო ძმაო!—შემოიკრა ფთაგმაიმ თავში ხელი და ცრემლები წასკდა. ფეთიზიც მწარედ ატირდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნი-ლი ფთაგმაი ძმას გადაეხვია და გულში ჩაიკრა. დიდხანს ტიროდნენ გადახვეული ძმები და თავსა და ბედს იწყევლიდნენ,

— ძმაო,—მიმართა ბოლოს მისუსტებული ხმით ფეთიზმა ატირებულ ფთაგმაის:

— ხედავ, ჩემი გადარჩენა შეუძლებელია... იფი-ქრე შენს თავზე, დედაზე... ვაი, რომ ველარ ვიხი-ლავ საყვარელ დედას... აჰ, ერთი ახლა მანახვა დედა, ერთი წუთით მაინც! ფთაგმაი, ნუ ტირი... გაჯავრებული ხომ არა ხარ ჩემზე, რომ ბნელ საქმე-ში ჩაგითრიე? არა? გმადლობ... გადაეცი დედას ჩემი უკანასკნელი თხოვნა: თუ შეუძლია, მოუტეოს შეცდომა თავის უღირს შვილს, სიხარბით დალუპულ ფეთიზს...

ფთაგმაი ხმამაღლა ატირდა.

—ფთაგმაი!—წამოიძახა მტკიცე ხმით ფეთიზმა,—კმარა ტირილი, აიღე მახვილი და მომკვეთე თავი!

შეშინებული ფთაგმაი უკან მიაწყდა.

— რას ამბობ, ძმაო, რას?!

— მისმინე, ძმაო, გარწმუნებ, რომ ეს იქნება ერ-თადერთი საშუალება შენი და დედის... გადასარ-ჩენად... ხომ ხედავ, ჩემი გადარჩენა შეუძლებელია, მე მაინც სიკვდილით დამსჯიან. შენც დაგსჯიან, როგორც თანამონაწილეს, დედას კიდევ აწამებენ, როგორც ქურდების დედას... ო, ო, ეს შეუძლებე-ლია! იჩქარე, ძმაო, იჩქარე, ვიდრე განთიადი არ მოსულა!..

სულიერად განადგურებულმა ფთაგმაიმ არ იცო-და როგორ მოქცეულიყო. ფეთიზი მართალს ამ-ბობდა, გადარჩენაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა... მაგრამ როგორ? საკუთარი ხელით გამოჭრას ყელი საყვარელ ძმას?! ო, ეს საშინელებაა, საშინელება!

— ძმაო, სხვა გზა არაა, გაბედე, მე მზად ვარ! არ ეშვებოდა ფეთიზი.

— საბრალო, მერე რა ვუთხრა დედას, როგორ შევხედო თვალებში... შვილი მოვსტაცო, სამაგიე-რო რა მივსცე? ო, ძმაო ფეთიზ, ვაი ჩემს თავს!!

ფთაგმაი სასოწარკვეთილებით მუხლებზე დაეცა, ხელებს იმტვრევდა და იატაკს თავს გამეტებით ურტყამდა, ულმობელი ფეთიზი კი კვლავ საშინელი საქმის შესრულებას სთხოვდა....

განთიადისას კედლის ხვრელიდან ერთი კაცი გად-მოძვრა, ხელში შეხვეული რაღაც ეჭირა, კედელს ამღვრეული თვალები მიაშტერა. ერთხანს გარინდე-ბული მისჩერებოდა, თითქოს ვიღაცას უცდისო, მე-რე მუხლებზე დაეშვა, შეხვეული გულში ჩაიკრა, ორად მოიხარა და აქვითინდა. ბოლოს წელმოწყვე-ტილი წამოდგა, ცრემლები მოიწურა, გულში რამ-დენიმეჯერ მუშტი ჩაირტყა, მიტრიალდა და გზას ლასლასით გაუდგა.

(დასასრული შემდეგ №-ში)

[1]) დასაწყისი იხ. № 10-ში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნენუფარიება

ხალხური ზღაპარი, ზეკარში გაგონილი ნინო ტყეშელაშვილის მიერ.

გამარჯვებული ბრუნდება ნადირ-შაჰი სამშობლოში. მწვანე ველზე გაუშლია დიდებული კარავი· ისვენებს უამრავი მისი ჯარი, ისვენებს ქარავანი დიდძალი ნადავლით, ისვენებენ ტყვეები. სიამაყით გადაჰყურებს შაჰი თავის ჯარს. „უნაყოფოდ არ ჩაიარა ომმა“— ფიქრობს იგი.

ნადირ-შაჰი საუცხოვო ვაჟკაცია, ლამაზი, მედიდური, ლომივით გულადი, ვეფხვივით ფიცხი. მუდმივმა ომში გამარჯვებამ გააამაყა არა თუ იგი, თვით მისი ქვეშევრდომნიც. ბედნიერად თვლის შაჰი თავს, რადგან ყოველი მისი სურვილი მიზანს აღწევს.

მშვენიერი მაისის ღამეა, თბილი და ტკბილი. მთვარე კაშკაშებს, შორს ლილისფერ მთებზე თეთრი ბამბის ქულები მიცურავენ, ისმის მდინარის დუდუნი, ტყიდან ბულბულის სტვენა—რაკრაკი. ცელქი ნიავი მინდვრის ყვავილებს უვლის. სძინავს დაღლილ ჯარს, სძინავთ ტყვეებს, სძინავს ქარავანს, თვლემენ დარაჯები. შაჰი გამოდის კარავიდან, არწივისებური თვალებით გადახედავს მიდამოს.

— ყველას სძინავს, ყველა ისვენებს. მე-კი არ მეძინება, გული მიშფოთავს... მე მეფეთა მეფე ვარ, მაშ რაღა სურს ჩემ გულს?!—შეეკითხა სივრცეს შაჰი. მდუმარებს ყველაფერი. ისიც დუმილით ჩაჰყვა ტყის პირს, კარგი მანძილი გაიარა... ჩუ... ყრუ კვნესა მოესმა. შაჰმა ყური დაუგდო. კვნესა ხან ისმის, ხან წყდება. შაჰი მიჰყვა ამ ხმას. ხედავს: ახალგაზრდა ქალი წევს პირაღმა ძვირფას სამკაულში, მხარში ისარი დასობია, სისხლი მოჟონავს. შაჰმა დაიჩოქა, ისარი ამოაძრო. იქვე ტყის პირად ღელე ჩადიოდა, წყალი მოიტანა, ჭრილობა მოჰბანა, შეუხვია, ხელებზე დაიწვინა, თავის კარავში წაიყვანა. იქ ექიმებს დაუძახა, მათ ხელმეორედ მოჰბანეს ჭრილობა, შეუხვიეს. ქალი მოსულიერდა, თვალები გაახილა. ნადირმა დახედა და განცვიფრდა: ასეთი მშვენიერი არსება არასოდეს ენახა. რეტი დაესხა. ქალმა თვალები კვლავ დახუჭა, გაირინდა. ნადირმა ექიმებს განუცხადა:

— მოარჩენთ—გაგამდიდრებთ, მოკვდება—თავს მოგჭრითო. თვითონ შაჰი ქალის სიბრალულით ახლოს ვერ დგებოდა, მისი კვნესა ისარზე უფრო მწვავედ ხვდებოდა მის გულს. დაავიწყდა ყველაფერი.

ნიკოტრისა დამარცხებული შაჰის ასული იყო. როდესაც ნადირმა მისი მხარე აიკლო, ნიკოტრისა გაქცეულიყო, ისარი დასწეოდა. დაკოდილს მაინც ევლო, მანამ გული არ შეღონებოდა.

თავდავიწყებით შეუყვარდა ნადირ-შაჰს ნიკოტრისა. მისი ქვეყნის ყველა ტყვე გაათავისუფლა, ნადავლიც დაუბრუნა და რადგან ნიკოტრისას მამა ტყვეობაში მომკვდარიყო, მისი ძმა დააყენა შაჰად. ქალსაც შეუყვარდა ნადირი. როგორც კი მორჩა, დაქორწინდნენ.

ბედნიერად მიდიოდა ცოლ-ქმრის დღენი. წლის თავზე ქალი შეეძინათ. ბავშვი ნამდვილი დედის სურათი იყო, მას მარგილა უწოდეს. სიხარული ტანჯვით შეიცვალა: ისარს ნიკოტრისასათვის ფილტვები დაეზიანებინა. წლის თავზე ნიკოტრისა ჭლექით გარდაიცვალა. ნადირ-შაჰის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, შვილი შეჯავრდა, თავის დას მიაბარა გასაზრდელად. აღარც კითხულობდა მას. თითონ მწუხარების ჩასაკლავად კვლავ ომში ჩაება, დიდ რისხვად მოევლინა მეზობელ შაჰს. სიკვდილს ეძებდა. სადაც დიდი ბრძოლა იყო, იქ გადავარდებოდა, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

გადიოდა წლები, და შაჰის მწუხარებაც ცოტცოტა ცხრებოდა. ამასობაში მარგილაც წამოიზარდა, ედემის ყვავილს დაემსგავსა: მშვენიერი, ნაზი, გრძნობიერი, დიდად მოკრძალებული და მორიდებული მამის წინაშე. მისმა მოკრძალებამ და ნაზმა ხმამ მამას გული მოულბო. თანდათან შაჰს შვილი ისე შეუყვარდა, რომ უიმისოდ ველარ ძლებდა, მასზე ლოცულობდა, ცდილობდა, რომ შვილისათვის ცივი ნიავი არ მიეკარებია, საწყენი არ შეხვედროდა.

ტყვეებით სავსე ციხე შორს იყო, მათი კვნესა მარგილას ყურს არ სმენია. სასახლეს ირგვლივ ეკრტყა დიდი ბაღი ყვავილნარით და შადრევნებით. ბაღს გარშემო მაღალი გალავანი ჰქონდა. ამ ბაღში დასეირნობდა მარგილა. მისი სილამაზის ხმა შორს გავარდა. ბევრი მთხოვნელი გაუჩნდა. არა ერთ შაჰის ვაჟს უცემდა მისთვის გული, ოცნებობდა მასზე, მაგრამ ნადირ-შაჰი ყველას უარით ისტუმრებდა. მარგილა არათუ საყვარელი შვილი იყო, არამედ ერთადერთი მემკვიდრეც. ამ საკითხის გა-

დაწყვეტა ასე ადვილი არ იყო. შაჰიც დროს და გარემოებას უცდიდა.

ნადიმი აქვს შაჰს. გაჩირაღდნებული აქვს ყველაფერი. თითქო მთელი სასახლე თავის ბაღით ცეცხლის ალში გახვეულაო. ეროვნული დრაშები ფრიალებენ, შადრევნები ჩუხჩუხებენ, ყვავილნარევი მწვანე გრეხილი კარებსა და სარკ?ლებს ამშვე?ებს. სასახლეშია რჩეული საზოგადოება ძვირფას სამკაულში, საუკეთესო სარდლები, ოქროვერცხლში ჩამჯდარნი, სუფრას ამშვენებდნენ. ულამაზესი თაიგულები, შუა სუფრაზე ჩამწკრივებულნი, სასიამოვნო სუნს აკენებდნენ, მაგრამ ამ უკვეილებში ყველაზე უძვირფასესი მარგილაა, მზეთუნახავი ანათებს მთელ ნადიმს, სიხარულით და სიყვარულით შეჰკურებენ მამა და მამიდა, აღტაცებით და მორიდებით —სტუმრები. ნადირშამმა დაამარცხა თავისი მოსისხლე მტერი, და ამ სიხარულს იზიარებენ შაჰის ერთგულნი. მხიარულობს მარგილაც. ამ დროს მეფეს მოახსენეს: შენი ერთგული დარის დედა გეახლოთ, შენი ნახვა სურსო. ნადირმა უბრძანა შემოეყვანათ. წარდგა მეფის წინ დარის დედა, მთლად ძაძებში გახვეული. ნადირი შეწუხდა. იცოდა მამაცი დარის დაკრა, მაგრამ შემდეგ რა მოუვდა აღარ იცოდა.

— მეფეთა მეფევ!—მოახსენა დარის დედამ,—შენ ხარ ძლევამოსილი, მრისხანება მეზობელ მეფეებისა! შენი მძლავრი მახვილის წინაშე კოთის და კანკალებს ყველა, შენ მუდამ იმარჯვებ, მაგრამ შენი გამარჯვება ჩვენი, დედების დამარცხებაა, შენი სიხარული—ჩვენი მწუხარებაა, შენი ბედნიერება ჩვენი უბედურებაა! შენ არ გამოგიცდია მშობლიური მწუხარება, ამისათვის ჩადიხარ ამას. დეე, შენი ერთადერთი ქალი ისე დამუნჯდეს და დაყრუვდეს, როგორც ჩემი დარი დაყრუვდა და დამუნჯდა!—ესა თქვა და პირი,'კარებისაკენ იბრუნა. ამ დროს მთისმა რომელიც მარგილას კიკილი, „გრძნეულ ... ცა. მეფე მივარდა შვილთან. დაუწყო ... სულიერება:

— შვილო, ყურს ნუ უგდებ, ?კუაზე შეშლილი ქალია!—ამშვიდებდა ნადირი მარგილას. ქალი ძლივს მოსულიერდა, მამის ალერსზე უცნაურად გაიღიმა. ხმა ვერ ამოიღო. ყველა დარწმუნდა, რომ მარგილა დაყრუედა და დამუნჯდა. მეფე ნადირმა საშინლად დაიღრიალა:

— ?ჩქარა მომგვარეთ ის დედაკაცი!

დაედევნენ, ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით. ეძიეს, ვერ იპოვეს. ვიღაცამ თქვა შვილის საფლავზე იქ ნებაო. მართლაც, მკვდარი იპოვეს დარის დედა შვილის საფლავზე. საშინელ მწუხარებას მიეცა ნადირი. ვერცერთმა ექიმმა ვერ უშველა მარგილას. მეფემ გასცა ბრძანება: ბაღის კარები მუდამ ღია იყოს მარგილასთვისო, სადაც უნდა იქ იაროსო, რაც უნდა ის გააკეთოსო. მართლაც, მარგილა მიუშვეს თავის ნებაზე. ის სულ ხალხში დადიოდა სოფლად, ქალაქში, არცერთი კუთხე უნახავი არ დაუტოვებია. მარგილა წყნარი, ლამაზი იყო, მის დანახვაზე შეწუხებულები შვებას გრძნობდნენ. ნივთიერადაც ეხმარებოდა გაჭირვებულებს, მამიდა ხელს უწყობდა: იქნებ ვინმეს მადლი წაადგესო. ერთხელ მარგილამ დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელიც მარტოდმარტო იჯდა ხის ძირას ძლიერ შეწუხებული, ცხარე ცრემლს ღვრიდა, ხელებს იმტვრევდა. მარგილას შეეცოდა ქალი, უნდოდა გაეგო მწუხარების მიზეზი და როგორმე დაემშვიდებინა. მაგრამ როგორ? არა ესმოდა-რა. განშორდა ამ ქალს, გულდაწყვეტილი წავიდა ტყისაკენ ჩაფიქრებული. გაჩერდა ერთ ადგილს, ჩაუკვირდა თავის მდგომარეობას და მდუღარე ცრემლი დაღვარა. უცბათ ტყიდან ლომი გამოვიდა. გაკვირვებული დააცქერდა მარგილას, რომელიც გაქვავებულ ქანდაკებასავით იდგა, თითქო სულისთქმაც შეეკავებია. მივიდა ნელა, შეხედა, მზეთუნახავი დგას, მარმარილოს სახეზე ცრემლის ნაკადი ჩამოსდის. ლომი უფრო მოუახლოვდა, მარგილამ გაუღიმა. ლომი მოხიბლა ქალის სიმშვენიერემ, მივიდა, ფეხები გაულოკა, მარგილამ თავზე გადაუსვა ხელი. ახლა ხელები გაულოკა და შინ წაჰყვა. მარგილამ ყელზე ?ვაკვი მოაბა და სადაც წავიდოდა, თან მიჰყავდა.

ერთხელ მეფეს მოახსენეს: ვიღაცა მწყემსი მოვიდა, საიდუმლო საქმე აქვს შენთანაო. ნადირმა ბრძანება შემოეყვანათ.

— დიდებულო მეფეთა მეფე!—მოახსენა მწყემსმა —შორს, შორს მთაზე საქონელს ვაძოვებ, იქიდან ბარს ჩამოველ საქმისათვის.

— გავიგე, შენი ქალი ყრუ და მუნჯი ყოფილა. ჩვენი მთის ძირში ბავშვის ცრემლსაგით ანკარა ტბაა, შიგ დიდ ხის ნაფოტზე ყვავილი ხარობს, „ხელუხლებას“ ეძახიან. ხალხის გადმოცემა ამბობს: ტბის ზემოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორაკზე ქალწული საღამოობით შეჰყურებდა ცალაჟვარდს, ვარსკვლავებით და მთვარით შემკულს. როდესაც მფრინავი ისარი მთვარისა და მყინვარი მთისა, ალმასივით მბრწყინავი, მიდამოებში იფანტებოდა, წყაროს რაკრაკს სულგანაბული ყურს უგდებდა. ერთხელ ვიდაც თავს წაადგა.

— ხელი არ მახლო,—სწრაფად შესძახა და წინ ფეხი გადადგა. რადგან წინ წაიწია, ქალწული მთიდან წყალში ჩავარდა. იქ ამოვიდა ეს ყვავილი. ხალხმა მას „ხელუხლება“ უწოდა. ყვავილი ღამით ვერცხლისფრად გამოიყურება მყინვარის სხივებით განათებული. დღისით ლამაზი წითელი ფერისაა. როდესაც ყრუ და მუნჯი შეხედავს, ყვავილი უცბათ იფეთქებს, წითლად დაიწყებს ციმციმს, ფოთლებზე ალმასის თვლები დაეკიდება, იქიდან ლალის სხივები მოლად ყვავილს ეკლება. მუნჯი აღტაკებაში მოდის, ენას იდგამს. ამავე დროს ხმა ესმის ყვავილიდან.

მეფე ყურს უგდებდა მწყემსს დიდი აღტაკებით.

— მიშველე, ეს ყვავილი ჩემი მარგილასათვის მიშოვე და ნახევარ სახელმწიფოს გაჩუქებ!!

— დიდებულო მეფევ, მე შემიძლია მხოლოდ უვალი გზა გიჩვენოთ, ყვავილის მოტანა არ შემიძლია. შენ გაეცი ბრძანება, იქნებ გამოჩნდეს ვინმე, რომ ხელმეუკარებლად მოიტანოს.

დაღონდამეფე ნადირი. სწრაფად შიკრიკები დაგზავნა მთელ სამეფოში. მეორე დღეს მეფეს მოახსენეს მეთევზე მოვიდაო, შენი ნახვა სურსო. მაშინვე შემოაყვანინა მეთევზე.

— დიდებულო მეფე, მე შემიძლია ის ყვავილი ისე მოვიტანო, რომ ხელი არ ვახლო.

— მიშველე, ყვავილი მომიტანე. და რასაც მთხოვ, არ დავზოგავ შენთვის! —შეეხვეწა მეფე.

— მე მინდა მალე წავიდე, ყვავილი მოვიტანო და როდესაც დავბრუნდები, მაშინ ვილაპარაკოთ მაგაზე.

— კეთილი,— თქვა მეფემ.

წავიდნენ მწყემსი და მეთევზე. მეთევზეს ჰკადა გაწმენდილი დიდი თევზი, რომელიც მეთევზის ბრძანებით პატარა თევზებს დაიჭერდა და მოუყვანდა მას, ხან ყვავილს, ხან ფოთოლს გამოუტანდა ნაპირას. მეთევზემ დიდ ვარცლში წყალი ჩაასხა, შიგ თევზი ჩასვა, მწყემსი მოიშველა და ხელუხლებასთან წაიღეს. იქ მეთევზემ თევზი წყალში შეაცურა, უბრძანა: ის ყვავილი ისე გამომიტანე, ძირს არა აგნო რაო. თევზი წყალში შეცურდა, ხელუხლებას ფრთხილად გაუთხარა ფესვები, ზურგზე შეისვა, ნაპირს მოაყენა. თევზი ამ ყვავილიანად ვარცლში ჩასვეს და წამოიღეს. მოიტანეს სასახლის გალავანთან. მწყემსი დაწინაურდა, მოახსენა მეფეს:

— ყვავილი მოვიტანეთ, არავინ არ უნდა ნახოს, მანამ მარგილას არ ვუჩვენებთ.

ყველა დაიმალა. მწყემსმა და მეფემ ვარცლი თევზით და ყვავილით დიდ დარბაზში მიიტანეს და შიგ შეგზავნეს მარგილა. როგორც კი შევიდა მარგილა, ყვავილმა უცბათ იფეთქა, წითლად აციმციმდა, მას ალმასის სხივები დაეცა, თანაფრად აელვარდა.

— რა მშვენიერია!—წამოიძახა მარგილამ, მივარდა, ხელები მოხვია ყვავილს. იქიდან ხმა მოესმა:

— მე ვარ ხელუხლებელი ყვავილი, შენისთანებისათვის მოვლინებული, შენი ხელით დამაბინავეო.

— მამა, მამიდა!—ყვიროდა მარგილა. შეეცივნენ ყველანი გაბარებულნი. მწყემსი და მეთევზე გაკვირვებულნი დარჩნენ, რომ ხელუხლება არ დაჭანა და ლამაზი წითელი ფერი შერჩენოდა. მარგილამ თავის ხელით დარგო ყვავილი, ლომი იქვე ახლოს დაადა და უბრძანა:—თვალყური ადევნე, ხელი არავინ ახლოსო.

დიდი ნადიმი გამართა მეფე ნადირმა. მის პირდაპირ მეთევზე და მწყემსი ისხდნენ. შუა ჯამაში მეფე ნადირმა მიმართა მეთევზეს:

— შენ დიდი სიკეთე მიყავი: ჩემი ერთადერთი სიხარული, ჩემი მარგილა დამიბრუნე! რასაც მთხოვ, ამსრულებელი ვარო.

გუნებაში ფიქრობდა:

— ეს ისეთი ლამაზი ვაჟკაცია და გონიერი, ქალიც რომ მთხოვოს, მივცემო.

— დიდებულო მეფევ!—მოახსენა მეთევზემ.—მე არც ქონებას ვთხოვ, არც დიდებას, გთხოვ ყველა ტყვე გაათავისუფლო, ომი შეწყვეტო, მანამ თვით მეზობლები არ შემოგიტევენ.

ეწყინა მეფეს ეს თხოვნა, სულ სხვას მოელოდა, მაგრამ მეფური სიტყვა ვერ გატეხა.

— კეთილი, ასე იყოს. შენთვის და ამ მწყემსისათვის მომინდვია მათი განთავისუფლება.

— მამა, მეც მათ წავაყვები!—შეეხვეწა მარგილა.

— კარგი, შვილო, წაჰყევ. შენმა ბედნიერებამ ისინიც გააბედნიერა.

მარგილა წაჰყვა მეთევზესა და მწყემსს.

შორს, შორს, ქალაქის გარეთ, ერთ მივარდნილ ადგილს, ბნელ ნესტიან სატუსაღოში ისხდნენ ტყვეები, ბორკილგაყრილნი, გამხდარნი, თვალებჩაცვენულნი. გარეთ გამოიყვანეს. მარგილას მათ დანახვაზე გული შეუღონდა. როდესაც გონს მოვიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთევზემ ტყვეებს უამბო მეფის ასულის ავადმყოფობა, მისი მორჩენა და ამ მიზეზით მათი განთავისუფლება. ტყვეებმა ერთხმად ვაშა შესძახეს მარგილას, დიდი მადლობა გადაუხადეს მეთევზესა და მწყემსს. ტყვეების სანახაობამ გული შეუცვალა მარგილას მამაზე. ხალხიც გახარებული იყო ტყვეების განთავისუფლებით. ყველა ლოცავდა მეთევზესა და მარგილას. ამათ შეჰხაროდნენ, მეფე ნადირი მთლად დაივიწყეს. ქალიშვილიც გულგრილად უყურებდა მამას.

დაღონდა მეფე ნადირი, პირქუშად დადიოდა. ერთხელ შეჩერდა დაღონებული. უცბათ თავი მაღლა აიღო.

— ვინაა მიზეზი ჩემი დამცირებისა?—შეეკითხა ის თავისთავს. როცა დაინახა ხელუხლება, [illegible] მოაგონდა.

— მეთევზეა, მეთევზე!—ბრაზმორევით წამოიძახა მან და ტაში შემოკრა. კარის მცველები გამოცვივდნენ. წელში მოხრილნი, თავჩაღუნულნი ჩამწკრივდნენ მის წინ.

— მე თქვენ გიბრძანებთ: ლომს ისრები დაუშინეთ, მოჰკალით, ხელუხლება მოთხარეთ, დიდ შარაზე დაავდეთ, დე, ხალხმა ფეხით გათელოს! მეთევზე მოსძებნეთ, შებოჭეთ და აქ მომგვარეთ!

მეფე სასახლეში შევიდა. მცველებმა ლომი მოჰკლეს, ხელუხლება მოთხარეს, შარაზე დააგდეს და მეთევზის საძებნად წავიდნენ. ხელუხლებამ იფეთქა, ალი ცას სტყორცნა, წითელი შუქი მთა და ბარს მოჰფინა. ამან ხალხი შეაშფოთა: ქალი, კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა თავზარდაცემული დაიძრა ხელუხლებასაკენ და მას სალტედ შემოერტყა. უცბათ იქიდან ხმა მოესმათ:

— მეფემ ფიცი გატეხა: მე აქეთ გადმომაგდო, მეთევზესთან მდევარი გაგზავნა, რომ მონახონ და შებოჭილი წარუდგინონ. სისხლისმსმელს სურს კიდევ ომი გააჩაღოს, ხალხი ჟლიტოს.

— მეფემ ფიცი გატეხა, კიდევ უნდა ჟლიტოს ხალხი! სიკვდილი მოღალატე მეფეს!—მოუწოდა მოხუცმა გლეხმა ხალხს და სასახლისაკენ გასწია. ხალხი მას გაჰყვა. შევიდნენ სასახლეში და მეფე მოჰკლეს. გარეთ რომ გამოვიდნენ, დაინახეს მომავალი მეთევზე, რომელიც გზაში ხალხს გაეთავისუფლებია. მას მოჰყვებოდა მარგილა ხელუხლებათი ხელში. მათ ყველა აღტაცებით შეეგება. ხელუხლებაც ლალისფერი ციმციმით შეუერთდა მათ მხიარულებას.

სოფლის შარა

გ. კაჭახიძე

კოხტა, დაბალ ქოშკრებს ვუმზერ,
ღობეებიც კოხტად ჩანან.
აქ ნამდვილი შუკა იყო,
გაწოლილა ახლა შარა —
ისე სწორი, ისე ფართო,
სოფლის ბოლოს სწვდება თვალი,
სადაც კორდზე წისქვილი ჩანს,
როგორც მთაზე ნისლი მკრთალი.
ვერ აყენებს წვიმა ტალახს,
სუფთა ქვიშა ბლომად ყრია,

და იგრძნობა, სოფელს ოფლი
თუ რა ბევრი დაუღვრია.
გარჯილან და ახლა ხალხი
აქ ყოველთვის დადის ფართოდ;
ფიქრში მყოფი ზოგჯერ წყნარად
მიღიღინებს და თვალს ართობს.
ხალისი და სიცოცხლე ჩქეფს,
გზა იძინებს ღამით გვიან,
და სოფელი დიდხანს ისმენს
მგზავრის ხმას და ურმის ჭრიალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათუნას მოგზაურობა[1])

თ. ბელიაშვილი

სშრათი ბეოტრე

სოფლის საურმე გზა. ერთ მხარეზე წყაროა წყაროსთან ქვებია დასაჯდომად, გიგელის ურმები. უკან ვანოს ურემია. წინ ვანო მიუძღვის, ბავშვები მღერიან.

ვანო (წყაროსთან ურემს გააჩერებს). აბა ჩამოდით, ბავშვებო, ცოტა დავისვენოთ და საკმელიც ვჭამოთ.

გიგლა — ძია ვანო! ორ საათში ჩავალთ ქალაქში?

მიხო — ორი საათი კი არა ერთ საათში არ გინდა?

ვანო — არა, ახლა სწორედ ნახევარი გზა გავიარეთ. აი დაიხსომეთ, ეს წყაროა სწორედ შუაგზაზეა.

ელო — ძია ვანო, ქალაქში ღამე სად უნდა წავიდეთ, ქეჩაში ხომ ვერ დავრჩებით?

ვანო — ქეჩაში რათ უნდა დავრჩეთ! ის ქარხანა, რომლისათვისაც ჩვენ ახლა საჩუქრები მიგვაქვს, ჩვენი შეფია და იმ ქარხნის მუშებთან ვიქნებით სტუმრად.

გიგლა — უჰ, რა გემრიელი საუზმე იყო! ასე მადიანად ჯერ არ მიჭამია.

დათუნა — (აწევს ყუთის თავს, მიიხედ-მოიხედავს, მერე მეორე ყუთიდან ვაშლს ამოიღებს და ისევ ¡მიიმალება).

ვანო და ბავშვები } (წამოიშლებიან)

ვანო — საწყალი დათუნა, როგორ უნდოდა თქვენთან წამოსვლა.

გიგლა — რომ წამოგვეყვანა, ჯერ გზაში აგვიტირდებოდა და მერე ვინ იცის ქალაქში კიდეც დაგვკარგოდა.

ბავშვები — (დასხდებიან ურემზე და დაიწყებენ სიმღერას; ურემი მიდის, ბავშვები მღერიან. ურმიდან გზაზე ვარდება ყუთი. ურემი მიიმალება).

დათუნა — (ამოხტება ყუთიდან) ვაი, რაღა ვქნა... დავრჩი ქალაქში წაუსვლელი! (საშინელი დაბნეული) წამო... ჩქარა, მურა! (წამოავლებს ხელს ყუთს და გარბის) ჩქარა მურა! იქნებ დაეფწიოთ! (შედგება) მერე, როგორ გამოვჩნდე, ხომ დამაბრუნეს უკან!

მურა (კუდაბზეკილი დარბის და რაღაცას სუნავს).

დათუნა — როგორ მოვიქცე? (ერთ ადგილზე ტრიალებს ყუთით ხელში). ვაი თუ დავრჩე! (ყუთს დადგამს და შეწუხებული ზედ ჩამოჯდება).

მურა — ჰამ, ჰამ! (სახელოში ექაჩება)

დათუნა — გაჩუმდი! მოიცა... მოვიფიქრე! (წამოხტება, ტუჩებზე საყვირივით ხელებს მიიდებს და ბოხი ხმით ყვირის) ჰეი-ჰეი! ყუთი დაგივარდათ, ყუთიიი! მეურმე, ჰეიიი!

მურა — ჰამ...ჰამ...

დათუნა — მურა, მოდი აქ (ჩაძვრებიან ყუთში) ჰეი-ჰეი... (ჩაიმალებიან, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ამოყოფს თავს და ყვირის) ჰეი-ჰეიიი! (ჩაიმალება)

მიხო და გიგლა } (მორბიან)

მიხო — ნეტა ვინ გვეძახოდა?

გიგლა — აი! აგერ ჩვენი ყუთი! მოდი ავწიოთ.

მიხო და გიგლა } (ეკაჩებიან ყუთს).

უჰ! რა მძიმეა.... ალბათ, თურაშაული ვაშლი თუა... (დიდის გაჭირვებით ყუთს მხრებზე გაიდგამენ და მიდიან).

დათუნა (ამოყოფს ყუთიდან თავს და მაყურებელს ხელს უქნევს).

მესამე სურათი

(ქარხნის ეზო, უკან ქარხანა ჩანს, ეზოში რამდენიმე ქარხნის მუშა და პიონერი დაფუსფუსებს. მუშები ტრიბუნას აშენებენ, პიონერები პლაკატებს აკრავენ და ყვავილებით რთავენ ტრიბუნას).

1-ლი მუშა — ნიკო! აბა გასწი, დროშები მოიტანე, მალე, თორემ ვერ მოვას-

---

[1]) დასაწყისი იხ. № 8—9.

წრებთ! (ჩაქუჩით რაღაცას აკეთებს)

ილო ჩვენი სტუმრები სადაც არის გაჩნდებიან. (ნიკოსთან ერთად მიდის)

1-ლი მუშა — გიზო, შენ ხომ იცი, სოფლის პიონერები პირველად არიან ქალაქში და მარტო არსად გაუშვა. აღლუმის შემდეგ სასადილოში მოიყვანე და მერე, თუ უნდათ, ჩვენი ქარხანაც დაათვალიერებინე.

გიზო — ნეტა რამდენი პიონერი იქნება? მარტო ბიჭები იქნებიან? თუ გოგონებიც იქნა, მაშინ ნათელაც დამეხმაროს.

1-ლი მუშა — რამდენი იქნებიან არ ვიცი. მაშ ასე, გაბარებ სტუმარ პიონერებს, საღამოს ჩვენ კლუბში კინო იქნება და აჩვენეთ.

ქარხ. პიონ. — (შემოდიან მწკრივად, წინ ორი პიონერი საყვირით და დოლით).

მუშები — (შემოდიან მუსიკით და ტრიბუნასთან დგებიან).

1-ლი მუშა — (ათვალიერებს) ყველაფერი რიგზეა. ნიკო, აბა გაიხედე, ხომ არ მოდიან ჩვენი კოლმეურნე სტუმრები?

გივი — (მიდის და ისევ მალე ბრუნდება) ურმები მოდის. ალბათ, ისინი თუ არიან. (შემოდის ვანოს ურემი, ვანო წინ მოუძღვის. ურემზე სოფლის პიონერები არიან, შემოდიან დანარჩენი მეურმეებიც).

ქალაქ. პიონ. — გაუმარჯოს! ეაშა!(უკრავს მუსიკა.

სოფლ. პიონ. — (ჩამოდიან ურმიდან და სალამს აძლევენ).

1-ლი მუშა, ვანო (შეხვდებიან ერთმანეთს და ხელს ართმევენ)

გიზო — ამხანაგო კოლმეურნე! ჩვენმა ქარხანამ სტახანოვური მეთოდების შემოღებით გეგმა 300 პროცენტით შეასრულა. არც ერთი წუნი არა გვაქვს.

გიგლა — ამხანაგო ქარხკომო, ჩვენმა კოლმეურნეობამ გეგმა 200 პროცენტით შეასრულა, ყველამ ლამაზი სახლები ავიშენეთ. უხვი და პირველი ხარისხის სანოვაგე ბევრი გვაქვს.

ვანო — ამ ურემზე ვაშლებია. ასეთი გემრიელი ვაშლები მთელ სოფელში არავის მოსვლია. აბა, ბავშვებო, ერთი ყუთი გადმოიღეთ სანიმუშოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგლა, მიზო (გაიქცევიან და გადმოიღებენ ყუთს, მოაქვთ ვანოსთან).

ვანო — ასეთი შესანიშნავი ვაშლებისათვის ჩვენმა კოლმეურნეობამ (მისჩერებია 1-ლ მუშას და თან ყუთს თავს ხდის) ჯილდო მიიღო (გადახდის სახურავს).

დათუნა — (ჩაკუზული გაიმართება და დარცხვენილი დგას).

მურა — რარა..... რარა..... (ღრინავს).

ქალაქ. პიონ., მუშები — (იცინიან) ჰა-ჰა-ჰა! ეს როგორი ვაშლებია! ჰაჰა-ჰა-ჰა!

ვანო — შე ეშმაკო, აქ საიდან გაჩნდი? ეს რა მიყავი?!

ელო — (სოფლის პიონერებს) შეგვარცხვინა, თაკი მოგვეკრა....

გიგლა — ეს რა ოინი გვიყო!

სოფ. პიონ. — (ერთმანეთს ეჩურჩულებიან).

ქალ. პიონ. — (დათუნას შემოეხვევიან)

1-ლი მუშა — ვინა ხარ, შვილო?

დათუნა — ქალაქში წამოსვლა მინდოდა(შეშლუკუნებს), არ წამომიყვანეს (მოიხედავს და სოფლის პიონერებს დიდ ცხვირს აჩვენებს).

ქალაქ. პიონ. — მერე, მერე?

დათუნა — მერე და ყუთში დავიმალე და აქ გავჩნდი.

1-ლი მუშა — (სიცილით) ბიჭო, ძალიან ყოჩაღი ხარ, მაკრამ ყუთი რომ გზაში დაჭკარგოდათ, ხომ შენც დაიკარგებოდი?!

ქალ. პიონ. — მართლაც, რომ დაჭკარგოდათ? არ გეშინოდა?

დათუნა — რისა მეშინოდა! ერთხელ ჩემი ყუთით შარაზე დავრჩი, მაგრამ არ დავიბენი, ყუთიდან თავი ამოვყავი, ვიყვირე და ვიყვირე, მერე კი ისევ ჩავიმალე. ესენი მოვიდნენ, ვაშლი ვეგონე და ისევ ურემზე დამდეს.

პიონერები — ჰაჰ-ჰა-ჰა! (იცინიან).

გიზო — ყუთში მარტო არ მოგეწყინა?

დათუნა — ესენი რომ ურმის კოფოზე მდგროდნენ (უჩვენებს სოფლის პიონერებზე), მე და მურა დავლურს ვუვლიდით ყუთში.

1-ლი მუშა — ყოჩაღ... ეს რა კარგი ბიჭი ყოფილხარ! რა გქვია?

დათუნა — დავითი მქვია, მაგრამ ეს ენი დათუნას მეძახიან.

1-ლი მუშა — აბა, ჩემო დათუნა, ეს ენი პიონერებთან წადი და აღლუმს ეზიარებენ.

გიზო — დაეწყეთ.

(პიონერები ეწყობიან, მათ შორის სოფ. პიონერები და დათუნაც. მუსიკით გადიან).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მ ზ ე

შ. თაგუკაშვილი

რა მანძილია დედამიწასა და მზეს შორის? — ეს საკითხი აინტერესებდა ადამიანს და ახლა კიდეც ვიცით ეს. მანძილი დედამიწასა და მზეს შორის 149 მილიონ კილომეტრს უდრის. წარმოიდგინეთ, თითქოს დედამიწიდან მზეზე რკინისგზა გავიყვანეთ და ჩქარი მატარებელი საათში 90 კილომეტრს გადის, — მაშინ მხოლოდ 175 წლის შემდეგ მივაღწევდით მზემდის. როგორც ხედავთ, ძალიან შორს ყოფილა ჩვენგან მზე. ახლა ისიც გავიგოთ, დედამიწაზე რამდენჯერ უფრო დიდია ის? მზე დედამიწაზე დიდია მილიონ სამასიათასჯერ, მაგრამ ძალიან შორსაა და ამიტომ არ გვეჩვენება დიდი.

მზეზე ყოველი ჩვენგანი ამჩნევს ლაქებს. ეს ლაქები ხან მეტია, ხან ნაკლები, ხან დიდია, ხან შედარებით პატარები.

რას წარმოადგენს მზის ლაქა?

მეცნიერების აზრით, მზეზე მყუდროება არასოდეს არ არის. იქ მუდამ მძვინვარებს საშინელი გრიგალი. დროგამოშვებით მზის კაშკაშა პირი სკდება და ჩნდება ბნელი, ქარიშხლიანი სილრმე, რომელიც ჩვენ ლაქად გვეჩვენება. ასეთ ლაქაში ასი დედამიწა ჩაეტევა, იმხელაა ზოგი მათგანი.

ბობოქრობს მზე. გავარვარებული ენები მზის ზედაპირიდან 300,000 კილომეტრის სიმაღლეზე ავარდება ხოლმე. ამ ცეცხლის აღს შეუძლია სამ-ოთხჯერ შემოერტყას გარშემო დედამიწას, ხდება გახურებული აირების, გაზების აფეთქება, და აირი წამში 400 კილომეტრზე მეტს გადის...

აი რა ამბები ტრიალებს მზეზე, ამ გავარვარებულ უზარმაზარ სხეულზე, დედამიწიდან კი ის დალაქავებული გვეჩვენება.

სინათლე ძალიან სწრაფია. ის თვითეულ წამში 300.000 კილომეტრს გადის, მაგრამ მზიდან ჩვენამდის მოსვლას 9 წუთს უნდება. დილას რომ ამოიწვერება მზე, მხოლოდ 9 წუთის შემდეგ დავინახავთ მას. იქნებ გაგიკვირდეთ — ეს როგორ შეიძლებაო, თუ მზე ამოვიდა, მაშინვე დავინახავთო. ვთქვათ, თქვენ მინდორში ხართ,

თქვენგან მოშორებით, ტყის პირას, კაცი ხეს აპობს. აი, მოიქნია ცული, ცული დაეცა ხეს, თქვენ კი მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ გაიგონეთ დარტყმის ხმა. რატომ? იმიტომ, რომ სინათლე უფრო სწრაფად მოძრაობს და თქვენ ადრე დაინახეთ, ხმა უფრო ნელია, — ხმაურობა უფრო გვიან გაიგონეთ. ასეა ჭექა-ქუხილის დროსაც. ჯერ გაელვებს, მერე დაიგრუხუნებს, ნამდვილად კი დაიგრუხუნა გაელვებისთანავე, მაგრამ ხმამ უფრო გვიან მოაღწია ჩვენამდის.

უძრავია თუ არა მზე? არა, ის მოძრაობს, ბრუნავს.

მოძრაობს მზე, მოძრაობს დედამიწაც, მთვარეც, ვარსკვლავებიც.

რატომ ხდება, რომ მზე და დედამიწა არ შორდება ერთმანეთს, ან ძალიან არ უახლოვდება? ასე რომ მოხდეს, მაშინ ხომ დავიღუპებით: თუ მზეს ძალიან დავუახლოვდით, ის დაწვავს ყველაფერს, თუ ძალიან დავშორდით — ყველაფერი მოკვდება, გაიყინება.

რა უშლის ხელს ასეთი უბედურობის დატრიალებას? მზის გავლენა, რასაც მიმზიდველობას უწოდებენ.

აი, თქვენ დაინახეთ, რომ ვაშლი მოწყდა და ძირს დაეცა. რატომ ჰაერში არ აფრინდა, რაღა ძირს ჩამოვარდა? იმიტომ, რომ მიწა იზიდავს მას, საგნები ერთმანეთს იზიდავენ. აბა ჩაყარეთ წყლით სავსე კასრში ნახერხი და აურიეთ, — ცოტა ხნის შემდეგ ნახავთ, რომ ნახერხი ჯგუფ-ჯგუფად დაგროვებულია. რატომ? იმიტომ, რომ ერთმანეთი მიიზიდეს. ვთქვათ, ნავი დიდხანს დგას წყნარ ტბასა თუ მდინარეში. თქვენ დაინახავთ, რომ მის ახლოს არის ნაფოტები, შეშის ნაპობები. რატომ? იმიტომ, რომ ნავმა მიიზიდა ისინი.

ასე იზიდავენ ერთმანეთს მზე, მთვარე და სხვა პლანეტები პლანეტები ერთმანეთს იზიდავენ, მათ ყველას იზიდავს მზე და ამიტომ არის, რომ ციური სხეულები არ იფანტება სივრცეში.

დიდიხანია ამჩნევდენ სწავლულები, რომ მიწა იზიდავს თავისაკენ საგნებს, მაგრამ მე-17 საუკუნეში დიდმა მეცნიერმა ნ ი უ ტ ო ნ მ ა აღმოაჩინა, რომ იგივე მიმზიდველობის ძალა მოქმედობს პლანეტებს შორისაც.

საინტერესოა ერთი კითხვა: მიწა რომ ვაშლს იზიდავს, — ვაშლი მიწაზე ვარდება, მზე რომ დედამიწას იზიდავს, დედამიწა რატომ არ ვარდება მზეზე?

ავიღოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, აიღეთ თოკი და მოაბით ბურთულა, მერე დაატრიალეთ. რა მოხდება? თოკი დაიჭიმება, ვინაიდან, ბუნების კანონის მიხედვით, ბურთულა ცდილობს წინ წავიდეს სწორი გზით. სწორედ ასევე, მზე რომ იზიდავს დედამიწას, დედამიწა იმიტომ არ ეცემა მზეზე, რომ თავისი საკუთარი მოძრაობაც აქვს. მზის მიმზიდველობა რომ არ მოქმედებდეს იმაზე, მაშინ სულ წინ-წინ გასწევდა სწორი ხაზით, ახლა კი მზეს უტრიალებს, თანაც თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს, ხან ერთ გვერდს მიუშვერს მზეს, ხან მეორეს. რომელი გვერდიც მზისკენ აქვს მიშვერილი, იქ დღეა, ჩრდილში მყოფ მხარეს კი ღამეა. რადგან დედამიწა ბრუნავს, მერე იქ გათენდება, სადაც ღამე იყო, იქ კი დაღამდება, სადაც დღე იყო, ე. ი. ახლა მეორე გვერდს მიუშვერს მზეს.

თავისი ღერძის გარშემო დედამიწა 24 საათში შემოტრიალდება, მზის გარშემო კი 365 დღესა და 6 საათში, ე. ი. ერთ წელიწადში. ეს წლიური ბრუნვა იწვევს ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომას.



ლ. ჩ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოცანა

შეადგინა ვ. მაჭავარიანმა

ძლივსღა ქშინავს რეზიკო, წურწურითა სდის ოფლი. გამოცდა აქვს არითმეტიკაში და ემზადება, ვარჯიშობს.

— ჰა, გაათავე, ბიჭო? — ჰკითხა ციალამ.

— ცხრანიშნიანი რიცხვი მივიღე. თუ უნაშთოდ გავყავ რვად, გათავებულია და კარგადაც არის გათავებული.

— აბა, რა რიცხვია?

— 674529724.

— ჰე, შეცდომა მოგსვლია: უნაშთოდ არ გაიყოფა, 4 დაგრჩება.

— რა იცი, გოგო?

— 4 რჩება ნაშთად. შეცდომა გქონია.

— არა მგონია.

— არა გგონია, და გაჰყავ

— 724 : 8...

— არა, — შეაწყვეტინა ციალამ, — 52 : 8... 4 რჩება ნაშთად.

— არითმეტიკა თუ იცი, — გაბრაზებით მიმართა თავის დას რეზიკომ. — უკანასკნელი სამი ციფრი უნდა გაჰყო რვად.

— ვიცი, და საქმის გასაადვილებლად 724 კი არა, 52-სა ვყოფ რვად. ახალ წესსა ვხმარობ.

— ახალ წესსაო? ახალი წესი შეგაქვს არითმეტიკაში? ამერიკა დიდი ხანია აღმოჩენილი გახლავთ, ქალბატონო!

— ამერიკა აღმოჩენილი გახლავთ, ბატონო ჭკუისკოლოფო, მაგრამ ამერიკამდის მგზავრობის გაადვილება კი შესაძლებელიც არის და სასურველიც!

— კარგი, მაგრამ სად არის აქ 52?

განა უთუოდ უნდა ჩანდეს? მანდ არის, დააცქერდი, დაფიქრდი, მოფიქრებითა შენითა მოიპოვე ცოდნა შენი.

— ამინ და კირიელეისონ, წმინდაო დედაო, მაგრამ იქნება შემიწყალო მე ცოდვილი და ამიხსნა, რა არის ეგ შენი 52? ყველგან ხომ მაგით ვერ ვიხელმძღვანელებ?

— ეგ გასაყოფ რიცხვზეა დამოკიდებული.

— სხვა რიცხვი ავიღოთ 4546 : 8...

— შენ რვად 546 გაჰყოფ, მე კი 50 და 2 დამრჩება ნაშთად.

— ჰოდა, მეც მაგას გეკითხები, საიდან გამოტყვრა ეგ 50?

— დაუფიქრდი და მიხვდი.

— მერე, შენ კი დაუფიქრდი? მოდი, სხვისას ნუ ისაკუთრებ, გულწრფელად სთქვი — სად წაიკითხე, ან ვინ გასწავლა?

— არც წამიკითხავს, არც ვიღამე უსწავლებია.

— მაშ?

— დავუფიქრდი და მივაგნე.

— რაო, რაო? გუშინ ნემსისა და ძაფის მეტი არა იცოდა რა ქალბატონმა, და დღეს მეცნიერებაში ერევა!

— ვერევი და გჯობნი კიდეც! ეგ გინდოდა?!

— ჯობნაზე ნუ მივარდება, თორემ არც მე დაგივარდები! შენ თვითონ მიხვდი? ახლა მე მიყურე! მაშ ბიჭი არ ვყოფილვარ, თუ არ გამოვარკვიე ეგ შენი... ამერიკამდის მგზავრობის გაადვილება.

— სხვის დაუხმარებლად?

— რაღა თქმა უნდა!

— აბა, თუ ბიჭი ხარ!

— ბიჭიცა ვარ და ქუდიცა მხურავს!

— და უქუდოდ კი დაყიალებ ამ სიცხეში! — წასკდა სიცილი ციალას.

ძალიან ეცადა, მაგრამ ვერ გამოარკვია რეზიკომ ეს ამოცანა.

რედაქციისაგან: განმარტება ამ ამოცანისა წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1-ლი იანვრისა, მოწაფის სახელის, გვარის, სასწავლებლისა და კლასის აღნიშვნით. საუკეთესო განმარტება უახლოეს ნომერში დაიბეჭდება.

ფასი 50 კაპ.

37-127
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

მასკარადი



გადახატეთ სურათები. გამოსჭერით და დაახურეთ ჭუდი გიტარის დამკვრელს, ნაწნავები მოხუც ქალს და წვერები გაუკეთეთ პატარა ბიჭს— სასაცილო სურათი გამოვა.



აბა ვინ გაავლებს ხაზებს ოთკუთხედების ყველა გვერდზე ისე, რომ ფანქარი ქაღალდიდან არ აიღოს და არც ერთსა და იმავე გვერდზე ორჯერ არ გაავლოს ხაზი.